პანდემიის გავლენა საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-182

ნინო რამაზაშვილი
სტუ დოქტორანტი
Ninoo.Ramazashvili@gmail.com

რეზიუმე

საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა მრავალი ქვეყნის პრიორიტეტია. დღეისათვის წარმოუდგენელია სუვერენული ქვეყნების არსებობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეიტენგები აფასებენ ქვეყნების მიერ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში მიღწეულ შედეგებს. აღნიშნული რეიტინგებზე დაყრდნობით კი უცხოელი ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით. სწორედ ასეთი რეიტინგები გამოსახავენ თუ რამდენად მარტივია სხვადასხვა ტიპის რეგულაციების შესრულება, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს/უშლის ეკონომიკის განვითარებას. ჩვენი შეფასების საგანს წარმოადგენს თუ რამდენად დახვეწილია ჩვენს ქვეყნანაში არსებული საბაჟო პროცედურები. სწორედ, რომ საბაჟო პროცედურების სიმარტივეს წვილი შეაქვს ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის განვითარებაში, რაც საბოლოოდ განაპირობებს ექსპორტისა და იმპორტის ნაკადების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა, იმპორტ-ექსპორტის მიმოხილვა, ეკონომიკური გამოწვევები.

შესავალი

საქართველოს საგადამხდელო ბალანსი მეტწილად დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე და საგარეო გადმორიცხვებზე. ამას ემატებოდა ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი (სხვაობა ქვეყნის საერთო ექსპორტსა და იმპორტს შორის), რისი დაბალანსებაც მეტწილად ტურიზმით და საგარეო გადმორიცხვებით ხდება.

ჩვენი ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად რჩება საგარეო ვაჭრობის ზრდა და სასაქონლო ნაკადების მოცულობის გაფართოება. საქართველომ დიდი ხანია გახსნა საზღვრები სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურებისათვის. ამით, ქვეყანამ ერთგვარად უარყო პროტექციონისტული მიდგომები და უპირატესობა მიანიჭა თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას. ეს ერთგვარად დადასტურდა 1995 წელს, როდესაც საქართველო შეუერთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დიდ ოჯახს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო ვაჭრობის შეუფერხებელ განვითარებას. ხოლო ორგანიზაციაში გაერთიანებული თითოეული წევრი ვალდებულია ხელი შეუწყოს ვაჭრობის ჰარმონიზებული სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აღსნიშნავია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან მიმართებით სავაჭრო ურთიერთობები დაფუძნებულია ე.წ „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“(MFN) საფუძველზე[1].

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ეტაპები

იმისათვის, რომ ხელი შეეწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის, საქართველომ სხვადასხვა ქვეყნასთან (და ქვეყნების ბლოკებთან) გააფორმა მრავალმხრივი და ორმხრივი

1 „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის თანახმად, თუკი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ერთ-ერთი მხარე მესამე ქვეყანას ასარგებლებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით, მან უპირობოდ უნდა გაავრცელოს იგივე რეჟიმი შეთანხმების სხვა მხარეებზე“; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7086

შეთამხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებების მეშვეობით ვაჭრობა ხდება უფრო მარტივი, ხელმისაწვდომი და ეფექტური. ვინაიდან თითოეულ მხარე აწარმოებს ინფორმაციის გაცვლას და მინიმუმამდეა დაყვანილი ყველა ის დაბრკოლება, რაც შეიძლება შეექმნას ექსპორტიორ მხარეს. ამჟამად მოქმედებს შემდეგი სავაჭრო შეთამხმებები:

• აშშ-სთან, იაპონიასთან და კანადასთან მოქმედებს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა **(Generalized System of Preferences - GSP).** პრეფერენციების განზოგადებული სისტემის გამოყენებით, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები ცდილობენ დაეხმარონ შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს საექსპორტო პოტენციალის ზრდაში. ამის მისაღწევად, განვითარებული ქვეყნები პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მონაწილე ქვეყნებს ცალმხრივად ანიჭებენ შეღავათებს. უფრო ზუსტად კი, ბენეფიციარ ქვეყნებს უწესებენ შემცირებულ საიმპორტო ტარიფს (ანდაც მთლიანად უუქმებენ). აღნიშნული ქვეყნებიდან საქონლის ექსპორტის შემთხვევაში, რაც საბოლოო ჯამში ამარტივებს ბენეფიციარ ქვეყნებში წარმოებული საქონლის შესვლას განვითარებული ქვეყნის ბაზარზე.

• დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ყველა ქვეყანასთან, თურქეთის რესპუბლიკასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციასთან **(EFTA)**[1] მოქმედებს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თანახმად, სავაჭრო რეჟიმის ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთის საქონელს ათავისუფლებენ საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა შეთანხმებული გამონაკლისებისა. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან (რუსეთის გარდა) მოქმედი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის საფუძველია „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 1994 წლის

1 ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი ქვეყნებია ისლანდია, ლიხტენშტეინის სამთავრო, ნორვეგიის სამეფო და შვეიცარიის კონფედარაცია. საქართველოს და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმებას ხელი მოეწერა 2016 წლის 27 ივნისს.

მრავალმხრივი შეთანხმება. საქართველოს ასევე გაფორმებული აქვს ორმხრივი შეთანხმებები დსთ-ს წევრ ქვეყნებთან.

• 2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ევროკავშირთან გააფორმა საკმაოდ ინოვაციური ასოცირების შეთანხმება, რომლის ძირითადი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება. შეთანხმებით გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება, რომელიც უფრო ფართოა ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხოლმე ტრადიციული სავაჭრო შეთანხმებებით. ასოცირების შეთანხმება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველო იმპორტ დამოკიდებული ქვეყანაა და სწორედ ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ექსპორტის ზრდა და საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმებამ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი ექსპორტის პოტენციალის ზრდას და განვითარებას.

• 2019 წლის 11 იანვარს გაიმართა საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების მიზანშეწონილობის ერთობლივი კვლევითი ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა. როგორც კვლევამ აჩვენა, ინდოეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გასაფორმებელ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ექნება პოზიტიური გავლენა, მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობის გაღრმავებას[1].

• კორეის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის იგეგმება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშრებული მიზანშეწონილობის კვლევის წა-

1 ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.economy.ge/?page=news&nw=1007&s=saqartvelosa-da-indoets-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebis-mizanshewonilobis-kvleva-dasrulda

რმოება. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს წინასწარი კონსულტაციების შედეგს. როგორც კონსულტაციების დროს აღინიშნა, კორეა წარმოადგენს საქართველოსთვის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს, ვინაიდან სავაჭრო პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული, ამიტომ მიზანშეწონილია თავისუფალი სავაჭრო სივრცის არსებობა[1].

ზემო აღნიშნული ხელშეკრულებები და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებით სამომავლოდ დაგეგმილი ღონიძიებები ნათლად ადასტურებს, რომ საქართველო ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. აღნიშნული მცდელობა რაღა თქმა უნდა დადებითად აისახება ქვეყნის ზოგად კეთილდღეობაზე და ხელს შეუწყობს დამატებით ეკონომიკური დოვლათის შექმნას, რაც გამოიხატება საქონლისა და მომსახურების გაზრდილ არჩევანში და შემცირებულ ფასებში.

აღსანიშნავია რომ 2020 წელს საერთაშორისო ვაჭრობის ნაკადების შემცირება დაკავშირებულია პანდემიასთან, რამაც ასევე ასახვა ჰპოვა საქართველოს ვაჭრობაზე მის პარტნიორ ქვეყნებთან. COVID-19 დროს მნიშვნელოვან როლი უკავია ქვეყნის ეკონომიკას.პანდემიის მიუხედავად ქართული თხილის რეალიზაცია წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია. საქართველო წარმოადგენს მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანას და ამიტომაც სამომავლო ეკონომიკური განვითარება პირდაპირ პროპორციულადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად გახსნილია ქვეყანა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული ქვეყანას გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რაც იმას ნიშნავს რომ საქართველოს მიერ იმპორტირებული საქონელი აღემატება მის მიერ ექსპორტირებულ საქონელს. უარყოფითი ბალანსის

1 ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1597&s=saqartvelosa-da-koreis-respublikas-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebaze-molaparakebebis-dawyebastan-dakavshirebit-mizanshewonilobis-kvlevis-dawyebaigegmeba

შემცირება რომ მოხდეს, საჭიროა ექსპორტის ზრდა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხელს უწობს საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერებას და წარმოების სპეციალიზაციას. საერთაშორისო ვაჭრობის სიდიდე, როგორც წესი ვაჭრობის ნაკადების მოცულობით განისაზღვრება. ვაჭრობის ზრდას დიდი მნიშვნელობა უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ვინაიდან იგი წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენელ ნაწილს. როგორც თანამედროვე ლიტერატურა განსაზღვრავს, მთლიანი შიდა პროდუქტი არის დროის განსაზღვრულ მომენტში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება[1]. გარდა ამისა, მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება განვმარტოთ როგორც ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულებების ჯამი[2]. აქედან გამომდინარე კი, მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება დაკავშირებულია წარმოების დონის ცვლილებასთან. წარმოების ზრდა კი პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს საექსპორტო ნაკადებზე.

გლობალიზაციამ და მისმა თანმდევმი ეფექტებმა აქტუალური გახადა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური მეთოდების ჩამოყალიბებისა და შემუშავების საკითხი. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას ხელს უწყობს ისეთი რეფორმების გატარებაც, რომლებიც მიზნად ისახავენ ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას. საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას და ინსტრუმენტს.

საბაჟო ადმინისტრაცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დამცველ ორგანოს. მისი ძრითადი მიზანია ძალაში არსებული საბაჟო ტარიფებით საბაჟო ოპერაციების წარმოება, ფისკალური აგენტის ფუნქციის შესრულება, ბაზრის დაცვა ანტი დემპინგური ქმედებებისაგან და სხვ სახის არეკე-

1 https://ka.hydroponicsbc.com/293-gdp-by-income-and-expenditure-flow.html
2 https://ka.hydroponicsbc.com/293-gdp-by-income-and-expenditure-flow.html

თილსინდისიერი ქმედებებისაგან. საბაჟო ადმინისტრირების მეშვეობით სახელმწიფოებს შეუძლიათ გაატარონ შეფარვითი პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა და ისეთი სახის ღია ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ამა თუ იმ ქვეყნის სრულყოფილ ინტეგრაციას მსოფლიო სავაჭრო სისტემში.

ქვეყნის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა . დღეისათვის წარმოუდგენელია სუვერენული ქვეყნების არსებობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის დასამზადებლად შემოტანილი ნედლეული გათავისუფლებულია გადასახდელებისგან , და როგორც ცნობილია, ექსპორტიც ნულოვანი ტარიფით იბეგრება.

საექსპორტო პოტენციალის ზრდა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფაქტორებით: 1) საექსპორტო პროდუქტის წარმოების უკეთ გამოყენების პოტენციალით; 2) ახალი საექსპორტო პროდუქტის შექმნით; თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეწყობით. [1]

თითოეული აღნიშნული მიმართულებით რეალიზაცია ისე უნდა მოხდეს, რომ შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების მიმართულებას. როგორც ჩვენთვის ცნობილია, დასაქმების პრობლემა საქართველოში აქტუალური საკითხია. თითოეულის განხორციელების შემთხვევაში გაიზრდება საექსპორტო შემოსავალი . უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რთულია ჩვენს ქვეყანაში ახალი საექსპორტო პროდუქტის შექმნა ინვესტორის გარეშე. ამიტომ აქ დიდ როლს თამაშობს ინვესტიციების მართვა და ინვესტორების წახალისება, რომ დაინტერესდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის შექმნით. საგადასახადო შეღავათების დაწესება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ინვესტორთა მოზიდვას. მაგალითად, მოგების გადასახადიდან ნაწილობრივ გათავისუფლება და შემდგომ რეგრესიული სკა-

1 http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/gaganidze-2-dasakabadonebeli1.pdf

ლით დაბეგვრა. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში მუშა ხელი ხელმისაწვდომი და იაფია, ამით დასაქმდება როგორც ადგილობრივი მოსახელობაა, ასევე ხელი შეეწყობა ექსპორტის ზრდას და შემოსავლის მიღებას.

საქართველოსთვის სამუშაო ადგილების ფორმირება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუმცაღა ახალი სამრეწველო წარმოების და მომსახურების გარეშე დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. აქცენტი ქვეყნის განვითარებისათვის ექსპორტის ზრდის ტენდენციებში უნდა გაკეთდეს. ასევე შესაძლებელია სატრანსპორტოს მომსახურების ზრდა, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ტრანზიტული გამტარია.

როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას.

დასკვნა

საქართველო დგას გამოწვევების ეტაპზე, ხელი შეუწყოს ექსპორტ-იმპორტის საბაჟო პროცედურების გამარტივებას. ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი საექსპორტო დოვლათის შექმნა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელზე აისახება, ვინაიდან უნდა გაიზარდოს ექსპორტის წილი ქვეყანაში და შემცირდეს იმპორტი. საქართველო უნდა გახდეს ექსპორტ დამოკიდებული ქვეყანა, სამწუხაროდ დღევანდელი მდგომარეობით ჩვენ იმპორტ დამოკიდებულ ქვეყანას წარმოვადგენთ. ამით შეიქმნება სამუშაო ადგილები, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, ხელი შეეწყობა ინვესტიციების მოზიდვას. ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საბაჟო ურთიერთობის გამარტივება. ინფორმაციის გაცვლა ხდება ელექტრონულად სწრაფად და მარტივად, რაც ხელს უწყობს დროის უმოკლეს პერიოდში განხორციელდეს ყველა პროცედურა.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7086
2. http://www.economy.ge/?page=news&nw=695&s=-saqartvelosa-da-eftas-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmeba-1li-maisidan-srulad-amoqmeddeba
3. http://www.economy.ge/?page=news&nw=1007&s=saqartvelosa-da-indoets-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebis-mizanshewonilobis-kvleva-dasrulda
4. http://www.economy.ge/index.php?page=news&nw=1597&s=saqartvelosa-da-koreis-respublikas-shoris-tavisufali-vachrobis-shetanxmebaze-molaparakebebis-dawyebastan-dakavshirebit-mizanshewonilobis-kvlevis-dawyeba-igegmeba
5. https://ka.hydroponicsbc.com/293-gdp-by-income-and-expenditure-flow.html
6. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover2019_16_10.pdf

THE IMPACT OF THE PANDEMIC ON EXTERNAL ECONOMIC RELATIONS OF GEORGIA

Nino Ramazashvili
PhD Student at GTU
Ninoo.Ramazashvili@gmail.com

RESUME

Promoting of international trade is a priority for many countries. No one could imagine existence of sovereign countries without beneficial external economic relations. International Organizations are constantly developing ratings to evaluate results achieved in various economic sectors. Based on such ratings, the investors are taking decisions regarding the development of their business activities. Such

ratings reflect simplicity to meet different regulations, which ultimately facilitates/hinders the development of the economy. In the Article, we try to assess the types of customs procedures applying in the country and their sophistication. The simplicity of such procedures contributes to the development of trade policy which finnally leads to an increase in export and import flows.

Key words: International Trade, Import-Export Overview, Economic Challenges.